

ამერიკის პრეზიდენტი ადგილობრივ მაღალჩინოსნებს სამსახურიდან ათავისუფლებს

Author: Kamal Ali

ილაქამ ალიევი ადგილობრივი ხელისუფლების კორუმპირებულ ჩინოვნიკებს დაერია, თუმცა ბევრი მიიჩნევს, რომ ეს იმ სისტემის შედეგია, რომელსაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს.

ამერიკის პრეზიდენტმა ილაქამ ალიევმა იმ რაიონის გამგებელი გაათავისუფლა, სადაც გასულ თვეს არეულობას ჰქონდა ადგილი. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილებით ის ცდილობს კორუფციით გამონჯულ უკმაყოფილებას აარიდოს თავი.

14 თებერვალს პრეზიდენტმა ისმაილის გამგებელი, ნიზამი ალეკპეროვი დაითხოვა სამსახურიდან. ქალაქ ისმაილიში გასულ თვეს მომხდარი არეულობის მიზეზი ჩხუბი გახდა, რომელშიც სწორედ ალეკპეროვის ძმისშვილიც მონაწილეობდა. ხალხმა დაგროვილი უკმაყოფილება უკიდურესად აგრესიული ფორმით გამოხატა, რაც ადგილობრივი ხელისუფლების უნარო მმართველობითა და კორუფციით იყო განპირობებული.

(იხილეთ: „**ამერიკის პრეზიდენტი ადგილობრივ მაღალჩინოსნებს სამსახურიდან ათავისუფლებს**“ და ასევე „**ამერიკის პრეზიდენტი ადგილობრივ მაღალჩინოსნებს სამსახურიდან ათავისუფლებს**“).

ნიზამი ალეკპეროვის ძმა, ფიზული ალეკპეროვი შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრია.

პრეზიდენტმა ჩინოვნიკების საქციელის გამო აღშფოთება გამოთქვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოპოზიციურ გაზეთ „ინი მუსავატში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია ნიზამი ალეკპეროვის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ, რომელიც არაერთ ქარხანას, კომპანიას, მენობას თუ მიწის ნაკვეთს ითვლის.

„ძალიან გათავხედნენ. გაფრთხილებით, ასეთი რამ კიდევ რომ განმეორდეს შვილებს პასუხისმგებლობა მივცემ, მაშინ კი სამსახურიდან დავითხოვ.“ განაცხადა პრეზიდენტმა 12 თებერვალს რეგიონული განვითარებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

ბევრი განხილვა მოჰყვა იმას, თუ ვინ ჰყავდა პრეზიდენტს მხედველობაში. ერთადერთი რაც მან ღიად განაცხადა იყო ის, რომ კორუფციაში ეჭვმიტანილმა პირებმა „იციან ვისზეც მაქვს საუბარი“.

ალეკპეროვის გათავისუფლებამდე ერთი დღით ადრე, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია სამხრის რაიონის გამგებლის ასიდ მამადოვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. არსებობს ვარაუდი, რომ კიდევ სამი რაიონის გამგებელს მოუწევს თანამდებობიდან წასვლა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალი ჰასანოვი ახალი ამბების სააგენტო APA -სთან საუბრისას აცხადებს, რომ პრეზიდენტმა ალიევმა გაფრთხილება ყველა საჯარო მოხელეს მისცა.

„ჩემი აზრით ყველა სახელმწიფო მოხელე, ასევე ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების აღმასრულებლები ამ კრიტიკული განცხადებიდან სათავისო დასკვნას გამოიტანენ.“ განაცხადა ჰასანოვმა. „გადანწყვეტილება იმ პირების მიმართ იყო გამოტანილი, ვინც თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას და ვერ გაამართლა პრეზიდენტის წოდება.“

პარლამენტის წევრის ელმირა ახუნდოვას აზრით რაიონების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ იქცეოდნენ და ვერ უმკლავდებოდნენ არსებულ პრობლემებს.

„მიუხედავად იმისა, რომ რაიონების გამგებლები სოფლებში დადიან და ამომრჩევლებსაც ხვდებიან, მათი ხალხისადმი ზრუნვა მოჩვენებითია.“ ამბობს ის. „რაიონებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მიწების მიტაცება და სიმწირე, ასევე ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. არის შემთხვევები, როდესაც სოფლის მაცხოვრებელთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს სხვა ადამიანები იყენებენ. ხშირად აქვს ადგილი უთანხმოებას ცალკეულ პირებსა და ადგილობრივ ხელისუფლებასა და მაცხოვრებლებს შორის.“

„რაიონების გამგებლები არ ან უბრალოდ ვერ აგვარებენ არსებულ პრობლემებს.“ დასძინა მან.

ისმაილიში მომხდარი ამბოხის შემდეგ პრეზიდენტს რამოდენიმე კვირა დასჭირდა რეაგირების მოსახდენად, რამაც ზოგიერთ ანალიტიკოსს აფიქრებინა, რომ ის ამით ცდილობს მაღალჩინოსანთა კონტროლს.

„ამ საჯარო გაკიცხვით ალიევი ცდილობს მისკენ მიმართული ხალხის რისხვა ჩინოვნიკებზე გადაიტანოს.“ აცხადებს კვლევითი ცენტრის „ატლასი“ პოლიტიკური ანალიტიკოსი ელხან მაჰინოღლუ. „ამ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მან გადაწყვიტა, რომ გაემიჯნოს თავის კორუმპირებულ გარემოცვას. ამით შეძლებს ხალხში მეტი პოპულარობის მოპოვებას, თავის გუნდში კი ეს მას პოზიციებს შეუსუსტებს.“

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ჩინოვნიკების სამსახურიდან დათხოვნით არაფერი ეშველება ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორცაა უმუშევრობის მაღალი დონე და მოსახლეობის დიდი ნაწილის რუსეთში გადინება.

„ეკონომიკური რეფორმების მხარდამჭერი ცენტრის“ ხელმძღვანელის აზერ მეჰდიევის აზრით რეგიონების მმართველების საქციელი ქვეყნის არასწორი მართვის გამოძახლია.

„რაიონების გამგებლები, რომლებსაც ქვეყნის პრეზიდენტი ნიზამს და ათავისუფლებს თანამდებობებიდან, არისტოკრატებივით იქცევიან.“ ამბობს მეჰდიევი. „ცენტრალიზებული მართვის მთელი სისტემა ერთსა და იმავე პრინციპზეა აგებული. ადგილობრივი მმართველები არ არიან ანგარიშვალდებული არც პარლამენტის და არც ხალხის წინაშე, მათი საქციელი სრულიად გაუმჭირვალეა. კორუფცია ყველის.“

მეჰდიევის თქმით რამოდენიმე კადრის ცვლილება ფესვგადგმული კორუფციის მოსპობას ვერ შეძლებს.

„სერიოზული ცვლილებები უნდა მოხდეს და ეს ნელსე უნდა დაიწყო.“ ამბობს ის და მიანიშნებს იმ მხარდ „უკმაყოფილების ტალღაზე“, რომელმაც მოიცვა ამერიკისა და მისი უცხოელი პარტნიორი ქვეყნები.

„სისტემისა და რეჟიმის ცვლილების გარეშე ჩვენი ხელისუფლების ბუნება არ შეიცვლება.“ ამბობს მეჰდიევი.

ოპოზიციური პარტია „მუსავათის“ ლიდერი ისა გამბარის თქმით პრეზიდენტმა ალეკპეროვის მოხსნა დაავიანა, რაც ისმაილიში არეულობის დაწყებისთანავე უნდა გაეკეთებინა.

„ყველაფერი, რასაც ალიევი ამ ბოლო თვეების განმავლობაში აკეთებს ნაკარნახევია მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებისადმი მზადებით.“ ამბობს გამბარი. „ალსანიშნავია, რომ მან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ნათლად განცხადებინა რომ აპირებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. რამდენადაც ალიევს სურს შესაძლებელი გახადოს პრეზიდენტობა, იმდენად ათავისუფლებს, რომ მის ამ სურვილს უარყოფითი შეფასება მოჰყვება თავის ქვეყანაშიც და უცხოეთშიც. ამიტომაც, ის ჯერ-ჯერობით თავს იკავებს თავისი კანდიდატურის დასახელებისაგან.“

ქამალ ალი თავისუფალი ჟურნალისტია ამერიკის პრეზიდენტში.

Location: [Azerbaijan](#)

Topic: [Protests](#)

Source URL: <https://iwpr.net/ka/global-voices/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95>